

დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის

საკონტაქტო პირი: თეონა ყუფუნია, NDI საქართველოს პროგრამის ხელმძღვანელი(+995) 577 719134; [tkupunia@ndi.org](mailto:tkupunia@ndi.org)

5 მაისი, 2014

**NDI-ის კვლევის შედეგების მიხედვით, მოსახლეობა მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას გამოკითხულთა უმეტესობა მხარს უჭერს „ეს შენ გეხება“ კამპანიას**

**თბილისი** - დღეს ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები წარადგინა. კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 65 პროცენტი მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას, ხოლო ევრაზიის კავშირში საქართველოს გაერთიანებას გამოკითხულთა 16 პროცენტი ემხრობა. 19 პროცენტს ამ საკითხთან დაკავშირებით არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია. ასევე, გამოკითხულთა 50 პროცენტი მიიჩნევს, რომ რუსეთი საქართველოსთვის რეალურ და არსებულ საფრთხეს წარმოადგენს, რაც NDI-ის 2013 წლის ნოემბრის კვლევასთან შედარებით (36 %) გაზრდილი მაჩვენებელია. ([PUBLIC ATTITUDES IN GEORGIA: RESULTS OF A NOVEMBER 2013 SURVEY](#)).

გამოკითხულთა 62 პროცენტი მიიჩნევს, რომ ყოფილი პრემიერ მინისტრი ბიძინა ივანიშვილი კვლავ რჩება ხელისუფლების საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიმღებ პირად. ასე არ ფიქრობს გამოკითხულთა 18 პროცენტი, ხოლო 20 პროცენტს არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია. მათგან, ვინც ფიქრობს, რომ ბიძინა ივანიშვილი კვლავ რჩება ხელისუფლების საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიმღებ პირად (62 პროცენტი), 41 პროცენტი მხარს უჭერს ამ ფაქტს, ხოლო 49 პროცენტი არ ეთანხმება.

გამოკითხულთა 59 პროცენტი ფიქრობს, რომ ყოფილი ხელისუფლების თანამდებობის პირების მიმართ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნა უმთავრესად ეფუძნება პრინციპს, რომ თანამდებობის პირებმა პასუხი უნდა აგონ საკუთარ ქმედებებზე. 22 პროცენტი კი მიიჩნევს, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყოფილი სახელისუფლებო ლიდერების მიმართ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნა უმთავრესად პოლიტიკური შურისძიების სურვილს ეფუძნება.

გამოკითხულთა 45 პროცენტმა 43 პროცენტისგან განსხვავებით იცის „ეს შენ გეხება“ კამპანიის შესახებ, რომელსაც სამართლიანი არჩევნები (ISFED), ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA) და საერთაშორისო გამჭვირვალობა (TI) უძღვება და რომელიც ითხოვს საკანონმდებლო ცვლილებას აკრძალოს უკანონო მოსმენა და თვალთვალი. გამოკითხულთა 62 პროცენტი მხარს უჭერს ამ ინიციატივას, განსხვავებით 10 პროცენტისგან.

“ქართველები კვლავ მყარად უჭერენ მხარს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას, ხოლო იმ გამოკითხულთა რაოდენობა, ვინც რუსეთს რეალურ და არსებულ საფრთხედ მიიჩნევს გაზრდილია. ქართველებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია ანგარიშვალდებულება და ეს შეეხება, როგორც ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების ქმედებებს, ისე არსებული ხელისუფლების პოლიტიკას. აგრეთვე მოსახლეობის დამოკიდებულებას იმ ადამიანის როლის მიმართ, ვისაც არ უკავია საჯარო თანამდებობა, მაგრამ გამოკითხულთა აზრით, კვლავ რჩება ხელისუფლების საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიმღებ პირად,” - ამბობს NDI საქართველოს დირექტორი, ლუის ნავარო.

კვლევა ამა წლის 26 მარტიდან 18 აპრილის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 3,942 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე ქართულენოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა. მასში ასახულია მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე მოსახლეობის დამოკიდებულება დემოკრატიის, რეფორმების და საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის საკითხების მიმართ. კვლევაში საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 2.1%. *NDI-ის კვლევებს აფინანსებს შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო (Sida) და ატარებს CRRC-საქართველო.*

-დასასრული-

*NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიის განმტკიცებისა და გავრცელებისთვის მსოფლიოში. NDI მუშაობს დემოკრატიებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე [www.ndi.org](http://www.ndi.org)*